

შპს“ გლდანი 777“ ს/კ-430035428

შპს“ გლდანი 777“

ს/კ 430035428

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის

შპს“გლდანი 777“ ს/კ 430035428

შინაარსი

ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის ანგარიში.....	3
ფინანსური ანგარიშგება.....	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	5
საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება.....	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	8
1.ზოგადი ინფორმაცია.....	8
2.მომზადების საფუძველი.....	8
3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8-9
3.1. ფული და ფულის ექვივალენტები.....	9
3.2. სავაჭრო მოთხოვნები.....	10
3.3. მარაგები.....	10
3.4. ძირითადი საშუალებები.....	10-11
3.5. სავაჭრო ვალდებულებები.....	11
3.6. საგადასახადო ვალდებულებები.....	11
3.7. შემოსავლის აღიარება.....	11
3.8. ხარჯების აღიარება.....	11
3.9. შრომის ანაზღაურება.....	12
4.ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.....	12

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „გლდანი 777“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევისა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე

გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე

განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული „მსს ფასს“ სტანდარტის შესაბამისად

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვაზე და შენარჩუნებაზე

ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოაჩენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა იმის საშუალებას, რომ ფინანსური ანგარიშგება შეესაბამებოდეს „მსს ფასს“ სტანდარტის მოთხოვნებს

სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დირექტორის მინდობილი პირი:

ბუღალტერი:




აგაბაშვილი ირაკლი

არსენაშვილი გელა

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	31.12.2020	31.12.2019
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	700284	186724
სავაჭრო მოთხოვნები	32363	331320
გადახდილი ავანსები		49304
სხვა გრძელვადიანი აქტივი		
სხვა მიმდინარე აქტივები	9108906	6415582
ძირითადი საშუალებები	86611	116486
სულ აქტივები	9927164	7099416

ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები		
სხვა ფინანსური ვალდებულებები	221328	74817
სხვა ვალდებულებები	9273618	6975481
სულ ვალდებულებები	9494946	7050298

საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი		440000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	432218	(390882)
სულ საკუთარი კაპიტალი	432218	49118
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	9927164	7099416

დირექტორის მინდ პირი: ი.აგაბაშვილი
 ბუღალტერი: გ.არსენაშვილი

ი.აგაბაშვილი
გ.არსენაშვილი

ფორმა N2 - საქმიანობის შედეგები

	01.01.2020- 31.12.2020	01.01.2019- 31.12.2019
ნეტო ამონაგები	8430049	14008
მომსახურების გაწევიდან	8385192	-
სხვა შემოსავლებიდან	44857	14008
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5619226	

საწყისი მარაგები	6415582	2742097
მარაგების შესყიდვა	8312550	3673485
საბოლოო მარაგები	9108906	6415582
საერთო მოგება	2810823	14008
დასაქმებულთა ანაზღაურება	145344	137103
ცვეთა და ამორტიზაცია	32739	34654
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	224500	115037
სულ საოპერაციო ხარჯი	402583	286794
საოპერაციო მოგება	2408240	(272786)

დირექტორის მინდ პირი:

ი.აგაბაშვილი



ბუღალტერი:

გ.არსენაშვილი



ფორმა N3- კაპიტალის მოძრაობა

	31.12.2020	31.12.2019
კაპიტალის საწყისი ნაშთი	49118	1611904
კაპიტალის გაზრდა	(440000)	(1290000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	823100	(272786)
სულ კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლო	432218	49118

დირექტორის მინდ პირი:

ი.აგაბაშვილი



ბუღალტერი:

გ.არსენაშვილი



ფორმა N4 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	513560	33257
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	51356	33257
სავალუტო კურსის ეფექტი		-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	186724	153467
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	700284	186724

დირექტორის მინდ პირი:

ი.აგაბაშვილი

ბუღალტერი:

გ.არსენაშვილი

Handwritten signatures and initials:
 Top signature: ი.აგაბაშვილი
 Bottom signature: გ.არსენაშვილი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები საწარმოს შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „გლდანი 777“ (ს/კ 430035428) რეგისტრირებულია საქართველოში მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად 2017 წლის 16 მაისს

დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 2017 წლის 19 ივლისს

იურული მისამართი: საქართველო, ზესტაფონი, ბარათაშვილის 41

საიდენტიფიკაციო კოდი: 430035428

დამფუძნებლები: 1, მალხაზ კაპანაძე (პნ 01024001843) 50%-იანი წილი. 2, ირმა კირკიტაძე (პნ 01026003038) 50%-იანი წილი. დირექტორი: მალხაზ კაპანაძე (პნ 01024001843), დირექტორის მინდობილი პირი: აგაბაშვილი ირაკლი (პნ 60001034410).

შპს „გლდანი 777“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი ბინების მშენებლობა მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით, ორგანიზაცია ფუნქციონირებას ახორციელებს ქ. თბილისში

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „გლდანი 777“-ს 2020 წლის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2020 წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე: საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს

კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს „მსს ფასს“-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციები კორექტირების აუცილებლობას არ წარმოადგენს.

3.1. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა-ლარი

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კომპანიის საოპერაციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე პირდაპირი მეთოდით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტების ნაშთები საანგარიშო წლის ბოლოსთვის -31 დეკემბერს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლების/ხარჯების ანგარიშებში.

კომპანიის ფულადი სახსრები სალაროში და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს

	ანგარიში	31.12.2019	31.12.2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1110	4623	3230
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	1210	33332	116957
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში-USD	1220	148769	580097
სულ ფულადი სახსრები		186724	700284

3.2. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის (რეალიზაციის/მომსახურების) შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად.

3.3. მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აისახება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს, საიმპორტო-საბაჟო გადასახადებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობამდე მიყვანის ხარჯებს. ერთჯერადი გამოყენების საგნები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, ბუღალტრულად აღირიცხება გამიჯნულად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ჯგუფი	ვადა
შენობა-ნაგებობები	10-30 წელი
მანქანა-დანადგარები	5-15 წელი
ავტომობილები	5-10 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5-10 წელი
ავეჯი	1-5 წელი

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო საკანცელარიო დანიშნულების საქონელი შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

მცირეფასიანი ინვენტარი და ნივთები გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს, ასევე კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთები და მასალები შესყიდვისთანავე მოეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.

3.5. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება საქონლის მოწოდების ან/და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

3.6. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებას 31.12.2020 წლისთვის შეადგენს მხოლოდ ის ვალდებულება, რომელიც აისახება პერიოდის ბოლოს: გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც ხდება არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

3.7. შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როცა: კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა, მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიურ სარგებელს, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

3.8. ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, ხარჯების აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშებში აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიური სარგებლის შემცირებას. რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

3.9. შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომის კანონმდებლობით და კომპანიის მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად.

4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

დირექტორის მინდობილი პირი:



აგაზაშვილი ირაკლი

ბუღალტერი:



არსენაშვილი გელა